

პროექტი

ინოვაცია,

ინკლუზიური განათლება

და ხარისხი

პროექტი ხელს  
უწყობს საქართველოს  
მთავრობის ინიციატივას  
ხარისხიან განათლებაზე  
ხელმისაწვდომობის  
გაზრდის შესახებ



# ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი პროექტის შესახებ

პროექტი ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის ინიციატივას განათლების სისტემაში ინოვაციისა და თანასწორობის გაზრდის და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ.

პროექტის განხორციელების საფუძველია სასესიო ხელშეკრულება N8955-GE, რომელიც 2019 წლის 18 ივნისს გაფორმდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) და საქართველოს მთავრობას შორის.

პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი.

პროექტს მართავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის მართვის ერთეული (PMU) და მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის მართვის გუნდი (PMT).

პროექტი მოიცავს 5 კომპონენტს და განხორციელდება 5 წლის ვადაში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. პროექტის ღირებულებაა 90 მილიონი ევრო.

პროექტის მიზნების მისაღწევად PMU ხელს შეუწყობს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს და კოორდინაციას გაუწევს პროექტის განხორციელებას გათვალისწინებული ინტერვენციებით, რომელთა მიზანია ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ზოგადი განათლებაში სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლება, უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა, ხოლო PMT იმუშავებს სასწავლო გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

პროექტის მთავარი არსია სისტემის გაძლიერების მცდელობა და მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს მონაცემზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების კულტურის ჩამოყალიბებას, აქტიურ კომუნიკაციას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

## პროექტი მოიცავს 5 კომპონენტს:

კომპონენტი 1

ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

კომპონენტი 2

ზოგადი განათლების სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლება

კომპონენტი 3

უმაღლესი განათლების დაფინანსების გაძლიერება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

კომპონენტი 4

სისტემის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

კომპონენტი 5

პროექტის მართვის მხარდაჭერა, მონიტორინგი და შეფასება

პროექტის ყველა კომპონენტი მიმართულია და ერგება სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეების/სტუდენტების საჭიროებებს.

ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

**მიზანი: შერჩეულ დაწესებულებებში ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა**



ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესება



მონაცემთა მართვისა და ანგარიშგების სისტემის შექმნა




პროფესიული განვითარების სისტემის და ანაზღაურების პოლიტიკის შემუშავება ადრეული განათლების სფეროს პედაგოგებისთვის



დასაქმებულ პედაგოგთათვის ტრენინგ-მოდულების შექმნა (ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის გათვალისწინებით)



სასკოლო მზაობის პროგრამის განახლება/გაუმჯობესება



**შერჩეულ სკოლებში:**

- ✓ გაიხსნება სასკოლო მზაობის ჯგუფები
- ✓ გადამზადდებიან პედაგოგები განახლებული და გაუმჯობესებული სასკოლო მზაობის პროგრამის მიხედვით
- ✓ სასკოლო მზაობის ჯგუფები აღიჭურვება საგანმანათლებლო რესურსებით, ავეჯით და ტექნოლოგიებით



**აშენდება სამოდულო სკოლები**

- ✓ სადაც შეიქმნება კომბინირებული ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემო სასკოლო მზაობის და დაწყებითი განათლების საფეხურებისთვის

## ზოგადი განათლების გარემოს გაუმჯობესება სწავლება – სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით

**მიზანი: შერჩეულ სკოლებში სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიან განათლებას.**



შემუშავდება სტანდარტები ინკლუზიური სკოლის ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად

აშენდება 5-დან 8-მდე სამოდელო სკოლა


რეაბილიტირდება 60-მდე სკოლა

შემუშავდება და დაინერგება მთლიანი სკოლის გაუმჯობესების პაკეტი



შემუშავდება ხარისხის მართვის სისტემა და მეთოდები

გადაიხედება სკოლის მასწავლებლების შერჩევის და კარიერის განვითარების პოლიტიკა და სქემა



შერჩეულ სკოლებში შემუშავდება და დაინერგება ინოვაციური და STEAM საგნების (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, ხელოვნება, მათემატიკა) ექსტრაკურსული პროგრამები

გადაიხედება სკოლის დირექტორთა შერჩევის პოლიტიკა და დაიხვეწება მექანიზმები

უწყვეტი განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია და მექანიზმები გადაიხედება/განვითარდება; მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარების მექანიზმები დაინერგება

შემუშავდება და დაინერგება ეროვნული შეფასების სისტემა, რომელიც გაზომავს სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე. დაიგეგმება პოლიტიკური ნაბიჯები გაუმჯობესებისკენ.

შესწავლება განხორციელების რეალურობა და შემუშავდება რეკომენდაციები საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ინსტიტუტის დასაარსებლად



## უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა


**მიზანი: უმაღლესი განათლების ხარისხის  
და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის  
გაუმჯობესება**

### უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელების შემუშავება:

- ✓ მათ შორის, შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი
- ✓ რესურსების დივერსიფიცირება

### უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა:

- ✓ ძირითადი ინდიკატორები
- ✓ უსდ-ების ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასება
- ✓ კვლევითი/სამეცნიერო აქტივობების პროდუქტიულობის გაზომვა



### უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა



- ✓ ახალი ერთობლივი სადოქტორო პროგრამა განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის მიმართულებით
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლებისათვის ორი ახალი სასწავლო მოდული - მეწარმეობის მოდული და დარგის სპეციფიკაზე მორგებული ინგლისური ენის მოდული
- ✓ საერთაშორისო სკოლა, რომელიც მოკლევადიანი კურსებით შეთავაზებით ქმნის სათანადო აკადემიურ გარემოს და, შერჩეული დისციპლინების ფარგლებში, ხელს უწყობს საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას.






### ინოვაციების ფონდი:

- ✓ დამსაქმებლის/კერძო სექტორის ჩართულობა
- ✓ ინოვაციებზე, კვლევისა და ტექნოლოგიების გაძლიერებაზე აქცენტირება, რეფორმის მიზნებიდან და შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირების ინტერესებიდან გამომდინარე
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; სწავლების და სწავლის მეთოდების, მათ შორის, ელექტრონული სწავლების ფორმის განვითარება
- ✓ განათლების სისტემაში, განსაკუთრებით კი, მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) დარგებში სტუდენტებს შორის გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება

### განათლების ყველა საფეხურის მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა:




- ✓ მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებაში საუკეთესო გამოცდილების მქონე საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობა
- ✓ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება
- ✓ საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა - საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება



## განათლების მონაცემთა სისტემის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

მიზანი: პროაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული, ინოვაციური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლისადმი დამოკიდებულების შეცვლის ხელშეწყობა



განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - სრულიად განათლების სისტემის მონაცემთა საჭიროებებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დიაგნოსტიკური შეფასება.



განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) შესაძლებლობების განვითარება - ევროპის ან აშშ-ის წარმატებულ EMIS-თან დამეგობრების პროექტი, სულ მცირე ოთხი ფუნქციური მიმართულებით: მენეჯმენტი და ადმინისტრირება; დაგეგმვა; პოლიტიკის ჩამოყალიბება; მონიტორინგი და შეფასება



სწავლების მართვის სისტემის (LMS) და განვითარება სკოლამდელი განათლებიდან უმაღლეს განათლებამდე



შერჩეული დისტანციური სასწავლო პლატფორმისა და სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებაზე სატრენინგო რესურსების და გაიდების შემუშავება სკოლებისთვის



განხორციელება კვლევა და გამოვლინდება დისტანციური სწავლების ელექტრონული პლატფორმის შესაძლებლობები და სწავლების მეთოდოლოგია




მრავალწლიანი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მიღება



## პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების მხარდაჭერა

მიზანი: პროექტის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა, მათ შორის პროექტის მართვის ჯგუფის (PMU) შექმნა-ფუნქციონირების ხელშეწყობით პროგრამის მართვისა და მონიტორინგის განხორციელება.



კონტაქტი:

(+995) 32 2 200 220

info@iiq.gov.ge

www.iiq.gov.ge



საპარტნიორო განვითარების  
მინისტროს ადმინისტრაცია  
და სავაჭრო სავაჭროსა



ინოვაციური განვითარების  
ინიციატივა



საპარტნიორო განვითარების  
მინისტროს ადმინისტრაცია  
და სავაჭრო სავაჭროსა



THE WORLD BANK  
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP